პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

CCCP

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 15 სექტემბერი, 1950 წ. № 205 (8765). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სრული სიმძლავრით ვამუშაოთ დაზგა-დანადგარები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
მომზადებული შევხვდებით ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში (მე-2 გვერდი).
ვამხილოთ ომის გამჩაღებლები — „პრავდის" 14-IX მოწინავე (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობა დიად სტალინურ მშენებლობებში (მე-2 გვერდი).
უდიდესი საირიგაციო მშენებლობა (მე-2 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — ამაღლებელი ფილმი (მე-3 გვერდი).
თბილისის ახალი მშენებლობებში (მე-3 გვერდი).
გ. აფხაძე — მზრუნველობით მოვეკიდოთ საბინაო მეურნეობას (მე-3 გვერდი).
ი. ა. მალიკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლისადმი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

სრული სიმძლავრით ვამუშაოთ დაზგა-დანადგარები

ჩვენი ქვეყნის მრეწველობა აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით, მაღალნაყოფიერი და შრომატევადი პროცესების შემცველი დაზგა-დანადგარებით. ჯერ კიდევ 1939 წელს, პარტიის XVIII ყრილობაზე დიდი სტალინი აღნიშნავდა: **„ეს ფაქტია, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, სამრეწველო წარმოების ახალი ტექნიკით აღჭურვის მოცულობის თვალსაზრისით, ჩვენი მრეწველობა პირველ ადგილზეა მსოფლიოში".**

მრეწველობისა და მთლიანად სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკით აღჭურვამ, ტექნიკას საფუძვლიანად დაუფლებული კადრების აღზრდამ შესაძლებლობა მოგვცა ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში ცხრაჯერ და უფრო მეტად გაგვედიდებინა სამრეწველო წარმოების დონე ოქტომბრის რევოლუციამდელი მრეწველობის დონესთან შედარებით, განგვემტკიცებინა სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა, მკვეთრად აგვემაღლებინა საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა, მოგვემზადებინა ნიადაგი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხმა უმაგალითო ძალით გააჩაღა ბრძოლა სოციალისტური სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი წინსვლისათვის. ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის უალრესად განვითარებამ, მეცნიერული აზროვნების შემდგომმა წინსვლამ შესაძლებლობა მოგვცა წარმოებაში დაგვენერგა ათასობით ახალი, უფრო სრულყოფილი დაზგა-დანადგარი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენმა მრეწველობამ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის მარტო შარშან შექმნა და სერიული წარმოებისათვის გადასცა 300-ზე მეტი უმნიშვნელოვანესი ახალი კონსტრუქციის მაღალნაყოფიერი მანქანა და მექანიზმი.

ამ ახალი ტექნიკის სრული სიმძლავრით ათვისება, მისი მაღალნაყოფიერი გამოყენება თვითეული საწარმოს გამართული მუშაობის, გეგმების გადაჭარბებით შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირებისა და ზეგეგმითი დაგროვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ იმ საწარმოებში, სადაც სრული სიმძლავრით იყენებენ დაზგა-დანადგარებს, სადაც საფუძვლიანად აქვთ მოწესრიგებული მათი შეკეთებისა და მოვლა-პატრონობის საქმე, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობას, გაუმჯობესებანი შეაქვთ დაზგებისა და მანქანების სისწრაფის გადიდებაში, ნაყოფიც ფრიად თვალსაჩინოა.

დაზგა-დანადგარების სრული დატვირთვით მუშაობის, მათი ხარისხიანი შეკეთების საქმეში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში. აქ სამეურნეო წლის პირველ ნახევარში დაზგა-დანადგართა რემონტის გეგმა შესრულეს 119 პროცენტით და, რაც მთავარია, გეგმით გათვალისწინებული 2.085 დაზგა-დღის ნაცვლად მთელი სამანქანო პარკის გაჯანსაღება შეძლეს 1.659 დაზგა-დღის განმავლობაში. გამოყვეს სპეციალური კომისია, რომელიც საამქროებში თვალყურს ადევნებს დანადგართა მუშაობას. მანქანა-დანადგართა ტექნიკურმა გამართულობამ, სარემონტო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი მანქანა-დანადგარების მუშაობის გახანგრძლივებას, მანქანების სრული სიმძლავრით გამოყენებას. შეკეთებული და ტექნიკურად გამართული მანქანების მოვლა-პატრონობა ფაბრიკაში დაკისრებული აქვთ ამ მანქანებზე მომუშავეებს, რამაც აამაღლა ფეიქართა პასუხისმგებლობა მანქანის მოვლისადმი და საგრძნობლად შეამცირა მათი მოულოდნელი გაცდენები.

ქარხანა „დაზგაში", სადაც დაზგები მოსავლელად მიჩენილი აქვთ მათზე მომუშავეებს, ამაღლდა მუშათა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, გაუმჯობესდა დანადგართა მოვლა, ამ ღონისძიებამ გამოიწვია მუშათა დაინტერესება მათთვის მიჩენილი დაზგების გამართულად მუშაობისათვის. დაზგების ნაყოფიერების გადიდებით, მათი სრული სიმძლავრით გამოყენებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 1946 წელთან შედარებით შარშან თვითეული მუშის გამომუშავება საშუალოდ ერთი ორად და მეტად გაიზარდა.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ სპეციალურად განიხილა მუშებისათვის დაზგა-დანადგარების მოსავლელად ჩაბარების საკითხი, ამ საქმეში ჩაება ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელები, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები, ინჟინერ-ტექნიკოსები, საამქროთა უფროსები და სტახანოველები, განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, მუშებს განუმარტა დაზგების მოვლა-პატრონობისა და მათი სრული სიმძლავრით გამოყენების უდიდესი მნიშვნელობა. ახლა ამ ქარხანაში თვითეულ დანადგარს მიჩენილი ჰყავს მომვლელ-პატრონი.

ფრიად თვალსაჩინოა ჩვენი საწარმოების კოლექტივთა წარმატებანი დაზგა-დანადგართა სრული სიმძლავრით ათვისების, მათი შეკეთების ხარისხის გაუმჯობესების, მუშაობის გახანგრძლივებისა და მოსავლელად გარკვეულ პირთათვის მიჩენის საქმეში. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება შეუძლებელია. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი საწარმო, სადაც მანქანების ნაყოფიერების გამოყენების, მათი შეკეთებისა და მოვლა-პატრონობის საქმე დაბალ დონეზე დგას. ცნობილია, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში, განსაკუთრებით ტყიბულის შახტებში ახალი ტექნიკის ნაყოფიერება საგრძნობლად ჩამორჩება ნორმით გათვალისწინებულს, ჯერ კიდევ სერიოზული ყურადღება არ ექცევა მექანიზმების ხარისხოვან შეკეთებას, იშვიათი არ არის მათი მოცდენის მაგალითები. ეს ხელს უშლის ქვანახშირის მრეწველობას გეგმების შესრულებაში; იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას.

რესპუბლიკის საწარმოთა პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ყველა საწარმოში მიაღწიონ მოსავლელად დაზგა-დანადგართა გარკვეულ პირთათვის მიჩენას, დანადგართა შეკეთების ხარისხის ამაღლებას და მათი სრული სიმძლავრით გამოყენებას.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი. საწარმოებში ჩაღდება შეჯიბრება ამ ისტორიული თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მუშათა ამ ახალ პატრიოტულ თაოსნობას, უზრუნველყონ თვითეული დანადგარის ნაყოფიერების გადიდება, მათი სრული სიმძლავრით გამოყენება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა 1949 წელს შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, გაისტუმრეს მტს-ების მუშაობის ნატურსაზღაური და მთლიანად უზრუნველყვეს 1950 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

45. **ჯამასპიშვილი** ნასყიდა ალექსის-ძე—წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 17,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,9 ცენტნერი ყურძენი.

46. **ჯანელიძე** ვასილ ვლადიმერის-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 89,7 ცენტნერი ყურძენი.

47. **დურგლიშვილი** ზაქარია ელიზბარის-ძე — კასპის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 6,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78 ცენტნერი ყურძენი.

48. **ეგუთიძე** მაქსიმე პარმენის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის 1-ლი ობჩის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,6 ცენტნერი ყურძენი.

49. **კვანჭილაშვილი** ლევან ილიას-ძე —წითელწყაროს რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,4 ცენტნერი ყურძენი.

50. **კვინიკაძე** ნიკოლოზ სიმონის-ძე —კასპის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,3 ცენტნერი ყურძენი.

51. **ქიზიყურაშვილი** ნიკოლოზ ზაქარიას-ძე — კასპის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86,4 ცენტნერი ყურძენი.

52. **კიკნაძე** დავით მიხეილის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის ბაბის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,8 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 64,8 ცენტნერი ყურძენი.

53. **კიკნაძე** ევლამპი ტარიელის ასული — ორჯონიკიძის რაიონის ბაბის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,4 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 65,7 ცენტნერი ყურძენი.

54. **კიკნაძე** მათიკო მელიტონის ასული — ორჯონიკიძის რაიონის საღანძილის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი სხივის" მერგოლური, რომელმაც 5,2 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,4 ცენტნერი ყურძენი.

55. **კიკნაძე** პეტრე მათეს-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საღანძილის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი სხივის" ბრიგადირი, რომელმაც 10,2 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 62,8 ცენტნერი ყურძენი.

56. **ყუზანაშვილი** ივანე ალექსანდრეს-ძე — კასპის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86,6 ცენტნერი ყურძენი.

57. **ყურაშვილი** ამბროსი საბას-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 106,4 ცენტნერი ყურძენი.

58. **ქუთიბაშვილი** გრიგოლ ვასილის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 12,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 112,3 ცენტნერი ყურძენი.

59. **ქუხიანიძე** გიორგი პორფილეს-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მერგოლური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,5 ცენტნერი ყურძენი.

60. **ლეშკაშელი** ამბროსი ლევანის-ძე — ცაგერის რაიონის ორბელის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის" მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 84 ცენტნერი ყურძენი.

61. **ლომიძე** ივანე ნიკოლოზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,7 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 73,7 ცენტნერი ყურძენი.

62. **ლომიძე** ნატო ჯიბოს ასული — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „მედგარი ძალის" მერგოლური, რომელმაც 4,5 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 71,5 ცენტნერი ყურძენი.

63. **ლომიძე** სერაპიონ ელიზბარის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 26,8 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 64.4 ცენტნერი ყურძენი.

64. **ლომიძე** თამარ გიორგის ასული — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" მერგოლური, რომელმაც 12,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 84,6 ცენტნერი ყურძენი.

65. **მაქაცარია** ვლადიმერ მიხეილის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 11 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,5 ცენტნერი ყურძენი.

66. **მამასახლისი** საულ გერმანეს-ძე — ვანის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90,8 ცენტნერი ყურძენი.

67. **მამაიაშვილი** ნიკოლოზ პეტრეს-ძე—წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 23,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79 ცენტნერი ყურძენი.

68. **მამფორია** მიხეილ კონსტანტინეს-ძე — ვანის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80 ცენტნერი ყურძენი.

69. **მარგველაშვილი** ალექსანდრე სარდიონის-ძე — ქუთაისის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 6,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,9 ცენტნერი ყურძენი.

70. **მაჭანკალაძე** ვლადიმერ სოლომონის-ძე — ამბროლაურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78 ცენტნერი ყურძენი.

71. **მედოიძე** სიკო თევდორეს-ძე — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „განათლების" მერგოლური, რომელმაც 5,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

72. **მეფარიშვილი** აკაკი მელიტონის-ძე—ვანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,1 ცენტნერი ყურძენი.

73. **მიქაძე** არსენ დარისპანის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის" მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90 ცენტნერი ყურძენი.

74. **მირინაშვილი** იოსებ მიხეილის-ძე — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „მესვეურის" მერგოლური, რომელმაც 9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78 ცენტნერი ყურძენი.

75. **მურუსიძე** იოველ ივანეს-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივის" მერგოლური, რომელმაც 5,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,4 ცენტნერი ყურძენი.

76. **მშვილდაძე** ვარლამ ალექსის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3.4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,6 ცენტნერი ყურძენი.

77. **ნაფეტვარიძე** პეტრე პლატონის-ძე — ვანის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ" მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,3 ცენტნერი ყურძენი.

78. **ნატრიაშვილი** მიხეილ სარდიონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის სასოფლო საბჭოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 93,1 ცენტნერი ყურძენი.

79. **ნებიერიძე** გიორგი იროდის-ძე— მაიაკოვსკის რაიონის მე-18 პარტკონფერენციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,7 ცენტნერი ყურძენი.

80. **ოგანეზოვი** მიხეილ არშაკის-ძე— გურჯაანის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 15,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,4 ცენტნერი ყურძენი.

81. **პოპიაშვილი** იოსებ მიხეილის-ძე — წითელწყაროს რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 23.4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,9 ცენტნერი ყურძენი.

(გაგრძელება იქნება)

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ქართულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი.

თარგმანი განხორციელებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ. გამოცემის ტირაჟია 20.000 ეგზემპლარი.

მეთორმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1907 წლის იანვარ-ივნისში.

ტომში დაბეჭდილ ნაწარმოებთა ნაწილის საგანია რსდმპ რევოლუციური ტაქტიკა II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის პერიოდში — მემარცხენე ბლოკის დაცვა და კადეტებთან შეთანხმების მენშევიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ნაწარმოებთ მიეკუთვნება: „სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში", „როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში? (ვისთვის არის ხელსაყრელი ზღაპრები შავრაზმული საფრთხის შესახებ?)", „მეორე სათათბირო და რევოლუციის მეორე ტალღა", „ოპორტუნიზმის ტაქტიკის შესახებ", „ბოლშევიკები და წვრილი ბურჟუაზია", „სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა", „სათათბიროს მოახლოებული გარეკვა და ტაქტიკის საკითხები" და სხვა.

ტომში შედის ლენინის დოკუმენტები და სტატიები რსდმპ V ყრილობის მზადების შესახებ, აგრეთვე მისი მოხსენებები და გამოსვლები ყრილობაზე: „რეზოლუციების პროექტები რსდმპ მეხუთე ყრილობისათვის", სტატია „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა", „მოხსენება რსდმპ მეხუთე ყრილობას პეტერბურგის გათიშვისა და მასთან დაკავშირებით პარტიული სასამართლოს შექმნის გამო", „მოხსენება ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ" და სხვა გამოსვლები.

ნაწარმოებნი: „მოხსენება პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე სათათბიროს კამპანიისა და სათათბიროს ტაქტიკის საკითხის შესახებ", „გათიშვის მომწყობნი მომავალი გათიშვის შესახებ", „რეორგანიზაცია და პეტერბურგის გათიშვის ლიკვიდაცია" ამჟღავნებენ ლენინის ბრძოლას რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის იდეური დარაზმულობისათვის ბოლშევიზმის პრინციპების საფუძველზე.

ლენინის ნაშრომები: „წინასიტყვაობა ლ. კუგელმანთან მიწერილი კ. მარქსის წერილების რუსული თარგმანისა" და „წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: „ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი" ახასიათებენ, თუ რა თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერას, რომელიც პირველად ნაწილობრივ გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1907 წელს.

ამ ტომში მოთავსებულია აგრეთვე ლენინის სტატიები აგრარულ საკითხზე: „მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი" და „აგრარული საკითხი და რევოლუციის ძალები".

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი ნაწარმოებნი: „II სათათბიროს არჩევნების შესახებ ქ. პეტერბურგის მოსკოვის რაიონის ანგარიშის გამო", „შენიშვნა ესტონელ სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის გამო" და „პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი", რომელშიც ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს II სათათბიროს მენშევიკ დეპუტატთა ოპორტუნისტულ მოქმედებას. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

11 სექტემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდა საბჭოთა კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები გადასცა ცხაკაიას და წალკის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეებს და აგრეთვე საბჭოთა კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ამიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველოს მუშაკთა და ამიერკავკასიის რკინიგზის მემანქანეთა ჯგუფს.

ლენინის ორდენი, ოქროს მედალი „ნამგალი და ურო" და საპატიო სიგელი სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ გადაეცა ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ვ. ა. ღვინჯილიას, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მიიღო 6.120 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის 4 მოწინავემ და წალკის რაიონის სოფლის მეურნეობის 7 მოწინავემ. მათ შორის არიან ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. პ. შონია, რომელმაც 33 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 3.274 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, წალკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. ა. არაქელიანი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 327,7 ცენტნერი კარტოფილი.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის" მიიღო წალკისა და ცხაკაიას რაიონების სოფლის მეურნეობის 25 მოწინავემ.

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" გადაეცა წალკისა და ცხაკაიას რაიონების სოფლის მეურნეობის 10 მოწინავეს.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ მთავრობის ჯილდოები გადასცა აგრეთვე სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ამიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველოს მუშაკთა და ამიერკავკასიის რკინიგზის მემანქანეთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. პ. შონია, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა ბოლშევიკურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მშრომელებზე ყოველდღიური ზრუნვისათვის.

დასასრულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში. (საქინფორმი).

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 450 ტონა ჩაის ფოთოლი

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ 7 სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. **კვარაცხელია** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **კალანდია** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 450 ტონა ჩაის ფოთოლი.

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ჩაის ფოთოლი

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა 5 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი ამხ. **გუგუნავა** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გვაძაბია** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ჩაის ფოთოლი.

შაქრის ჭარხლის ახალი მოსავალი

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მთელი რიგი კოლმეურნეობები შეუდგნენ შაქრის ჭარხლის ამოღებას. მიმღები პუნქტისაკენ უკვე დაიძრნენ შაქრის ჭარხლის ახალი მოსავლით დატვირთული ავტომანქანები.

შაქრის ჭარხალი სტალინირის რაიონის მიმღებ პუნქტს პირველმა ჩააბარა სოფელ ვარწევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. ახალი მოსავალი გამოგზავნეს ამავე რაიონის სოფელ არცევის, ხეითის, სატიხარის და თამარაშენის კოლმეურნეობებმა.

ჭარხლის ამოღება დაიწყო აგრეთვე ზნაურის რაიონში. მიმღებმა პუნქტმა უკვე ჩაიბარა შაქრის ჭარხლის პირველი ათეული ტონები. სტალინირის მიმღებმა პუნქტმა დადგა მანქანა, რომელიც ავტომატურად ტვირთავს ვაგონებს. ამ დღეებში სხვა კოლმეურნეობებიც შეუდგებიან შაქრის ჭარხლის ამოღებას.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

ხულო. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოიწყო აგიტატორთა რაიონული თათბირი მოსავლის აღების პერიოდში საგიტაციო მუშაობის საკითხზე.

თათბირმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ა. ბერიძის მოხსენება.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა საგიტაციო მუშაობის მდგომარეობაზე რაიონში. მან აღნიშნა, რომ ...

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ

გასული სასწავლო წლის შედეგებმა გვიჩვენეს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში გაერთიანებული კომუნისტების დიდი მისწრაფება თეორიის დაუფლებისადმი. კომუნისტების უმრავლესობამ საფუძვლიანად შეითვისა პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

გასული სასწავლო წლის გამოცდილებით გამდიდრებულმა პირველადმა ...

... ყველა მათგანი უკვე დაკომპლექტებულია და მზად არიან სასწავლო წლის დასაწყებად.

წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა მომზადებას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი პროპაგანდისტთა ერთთვიანი რესპუბლიკური კურსები გაიარა 6 პროპაგანდისტმა, ხოლო ამჟამად ორკვირიან კურსებზე სწავლობს 8 პროპაგანდისტი. ...

... ჰნა ერთი პოლიტსკოლა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი ერთი წრე.

მსგავსი ნაკლოვანებანი იყო აგრეთვე ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ხეობის, ქვენაფლავის და სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებში.

წელს დამატებით შეიქმნება 5 პოლიტსკოლა, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი ძირითადი ტიპის 15 და მაღალი ტიპის 4 წრე, აგრეთვე ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 4 წრე.

... სოფლის, გვერდისძირის, ქვიშხეთის, ... მო ხევდურეთისა და სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ჯერაც არ განუხილავთ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი.

სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლიდან მუშაობა ნორმალურად და მაღალ იდეურ დონეზე წარიმართოს.

ИВ. ᲑᲣᲖᲐᲚᲐᲫᲔ

საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ახალციხე. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომთან შეიქმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სამთვიანი გადასამზადებელი კურსები. კურსებზე ორი განყოფილებაა: ქართული და სომხური, სულ 60 კაცის შემადგენლობით. კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ პარტიის რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები და რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ჩოხატაური. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომთან 10 სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების გადასამზადებელმა სამთვიანმა კურსებმა. კურსებზე მეცადინეობს 60 კაცი. მსმენელები შეისწავლიან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს. მეცადინეობა მიმდინარეობს ორ ჯგუფად.

Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ „ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ" ᲝᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის ბროშურა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები".

ბროშურაში შევიდა ი. ბ. სტალინის ნაშრომები „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში", „ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე", „პასუხი ამხანაგ ე. კრაშენინიკოვას" და „პასუხი ამხანაგებს".



მოსკოვი. ა. ს. პუშკინის ძეგლი პუშკინის მოედანზე

ფოტო ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲕᲖᲝᲚᲔᲣᲛᲘ

12 სექტემბერს მოსკოვში მყოფმა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციამ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ვ. შიროკის, საგარეო ვაჭრობის მინისტრის ბ-ნ ა. გრეგორის, მრეწველობის მინისტრის ბ-ნ ა. კლიმენტის, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ბ-ნ რ. დვორჟაკის, მრეწველობის ...

Კ. Ე. ᲪᲘᲝᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ბოროვსკი (კალუგის ოლქი). 12 სექტემბერი. (საკდესი). ცხრამეტ სექტემბერს სრულდება გამოჩენილი რუსი მეცნიერის კ. ე. ციოლკოვსკის გარდაცვალების 15 წლისთავი.

ბოროვსკში, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში კონსტანტინე ედუარდის-ძე სახალხო მასწავლებლად მუშაობდა, მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ ამ თარიღს. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების აქტივისტები აწყობენ ლექციებსა და საუბრებს რეაქტიული ტექნიკის მამამთავრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, სადაც წარმოდგენილია კ. ე. ციოლკოვსკის მეცნიერული ნაშრომები და ბოროვსკში მის ყოფნასთან დაკავშირებული ექსპონატები.

ოქტომბრის ქუჩის № 14 სახლში, რომელსაც ახლა გაკეთებული აქვს მემორიალური დაფა, მეცნიერმა დაწერა მთელი რიგი ცნობილი ნაშრომები. აქვე ციოლკოვსკიმ შეიმუშავა და თეორიულად დაასაბუთა ლითონის სამართავი დირიჟაბლის კონსტრუქცია.

გამოჩენილი რუსი მეცნიერისადმი მიძღვნილი გამოფენები მოწყობილია აგრეთვე რაიონულ ბიბლიოთეკასა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ

13 სექტემბერს აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მეცნიერებმა — ცოდნის ყველა დარგის წარმომადგენლებმა, აკადემიის ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა, სამინისტროებისა და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკებმა.

პრეზიდიუმმა დასახა კუიბიშევის და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი ...

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე აკადემიკოსები ბ. ბ. პოლინოვი, ს. ა. ხრისტიანოვიჩი და ვ. ს. ნემჩინოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები გ. ვ. აკიმოვი, ტ. ს. ხაჩატუროვი და ... ტიორინი, მებამბეობის მინისტრის მოადგილე ა. ნ. ასკოჩენსკი და სხვები.

მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც ყველა საბჭოთა მეცნიერს მოუწოდებს მონაწილეობა მიიღონ ... გის ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაში ...

... მოკვლევა წინ უნდა უსწრებდეს მშენებლობას!

აკადემიკოსმა ა. ა. გრიგორიევმა დაახასიათა ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის ადგილებში გეოგრაფიული კვლევის ძირითადი მიმართულებანი.

... ლად. ეკონომიკის, გეოლოგიურ მეცნიერებათა, ნიადაგის, ტყის, ენერგეტიკის ინსტიტუტებს, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თურქმენეთის ფილიალს დაევალათ მოაწყონ სპეციალური რაზმები ამ ექსპედიციის შემადგენლობაში. (საკდესი).

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ, ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠ ᲐᲛᲮ. Ვ. Ვ. ᲞᲝᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ

საბჭოთა ადამიანები თავიანთი დიადი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის დადგენილებას თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ. ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ...

ხია-ტაშის კაშხალის აგება შესაძლებლობას მოგვცემს გადავჭრათ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია თურქმენეთისა და ყარა-კალფაკეთის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან. საჭიროა ...

... გამოყენებულ იქნება ბამბის დასათესად, აგრეთვე შვიდი მილიონი ჰექტარი საძოვრის წყლით უზრუნველყოფას. სამი ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიას მიაწვდის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას. მაგრამ ამით როდი ამოიწურება არხის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ტა...

... ტორების ღირსების საქმეა მთელი ძალები და ცოდნა მოახმარონ შუა აზიის უდაბნოთა გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმის წარმატებით განხორციელებას.

ტაშკენტი, 13 სექტემბერი. (საკდესი).

Კ Ა Ს Პ Ი Ი Ს Კ Ე Ფ Ა Ლ Ი

გურიევი, 11 სექტემბერი. (საკდესი). კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო კეფალის საშემოდგომო ჭერა. მაგნისტაუს მოტორიანი მეთევზეობის სადგურის მრეწველებმა ბაუტის საკონსერვო ქარხანას გადასცეს ამ ძვირფასი თევზის პირველი ტონები.

კეფალი კასპიის ზღვაში შედარებით ცოტა ხნის წინათ გაჩნდა. ოცდახუთი წლის წინათ ...

... მილიონი ლიფსიტა. „ვალასახლებულებმა" ჩინებულად გაუძლეს კასპიის სასტიკ ... ჯიმს და მალე შეეგუენ მას. უკვე სამი წლის შემდეგ მანგიშლაკის ნაპირებთან მეთევზეთა ბადეებში ხშირად ხვდებოდა მსხვილი კეფალი. შემდგომ წლებში ეს თევზი სწრაფად გავრცელდა მთელ შუა კასპიაში. ახლა მას იჭერენ მანგიშლაკის, დაღესტნისა და თურქმენეთის მეთევზეები ...

ᲕᲐᲛᲮᲘᲚᲝᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲩᲐᲦᲔᲑᲚᲔᲑᲘ

...

„პრავდის" 14-IX მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ი ნ ო

ამაღელვებელი ფილმი

საბჭოთა კინოხელოვნება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და პროგრესულია. იგი მასებს ზრდის კომუნისტური სულისკვეთებით, უნერგავს მათ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმს, შრომითი გმირობისა და მამაცობის, უშიშრობისა და მტრისადმი ულმობელი სიძულვილის კეთილშობილურ თვისებებს.

შემთხვევითი როდია, რომ მაყურებელი კარგი კინოსურათის ნახვისას მუდამ ცდილობს მიბაძოს ფილმის გმირების მოქმედებას, მთელი უშუალობით განიცდის ამ გმირების ჭმუნვასა და სიხარულს, აღფრთოვანებით ხვდება მათს წარმატებებს. ასეთი კინოსურათების რიცხვს ეკუთვნის ახალი ფილმი „მამაცი ადამიანები“ *), რომელსაც დიდი წარმატებით უჩვენებენ ამჟამად ეკრანებზე.

პირველი კადრებიდანვე მაყურებელი გატაცებით მისდევს ფილმში მოთხრობილ ამბებს. მოქმედებას გადავყავართ ომისწინა წლებში. ჩვენს თვალწინ იშლება ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მთაგორიანი კუთხის თვალწარმტაცი პანორამა. ამ კუთხის მაღალმთიან ქედებს შუა დაბლობზეა გაშენებული საკმაოდ მოზრდილი მეცხენეობის სახელმწიფო მეურნეობა. მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ეწევიან მეურნეობის მუშაკები. მათ მოქმედებაში იგრძნობა თავისი პროფესიისადმი განსაკუთრებული სიყვარული. და რა გინდ რთული უნდა იყოს მეჯოგეების, მწვრთნელებისა და მხედრების მოვალეობა, მეცხენეები საქმის სიყვარულით აკეთებენ ყველაფერს, თავიანთ თავდადებულ მუშაობაში ავლენენ საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელ ძალას, მოქნილობას, გამბედაობას და უნარს.

ფილმის პირველი კადრები იწყება უბრალო ამბით: მეურნეობაში იბადება კვიცი. მას დედა დაეღუპა. უდედო კვიცს მეჯოგეები და მეცხენეები გარს ევლებიან, ხელოვნურად ასმევენ რძეს და მოაღონიერებენ. კვიცი, რომელსაც „ბუიანს“ არქმევენ, მალე გამოკეთდება. „ბუიანი“ მოჩანს ფილმის თითქმის ყოველ კადრში, მის ირგვლივ ვითარდება სურათის სიუჟეტიც.

საბჭოთა ადამიანების თავგანწირვაზე მოგვითხრობენ ფილმის შემდგომი კადრები. ათასობით ცხენების ჯოგს ღამით თავს ესხმიან მგლები. შეშინებული ცხენები ელვის სისწრაფით გარბიან მთაგორიანი მისახვევ-მოსახვევებით. იქმნება ცხენების გარდუვალი დაღუპვის საშიშროება — დამფრთხალი ჯოგი უფსკრულის მიმართულებით მიექანება. თუნდ სიცოცხლის ფასად დაჯდეს, ცხენების ჯოგი უნდა შეჩერდეს! ამ გადაწყვეტილებით უშიშრად გაემართება ცხენების შესაჩერებლად მოხუცი მწვრთნელი ვორონოვი. მის მაგალითს ბაძავენ სხვებიც... ცხენები შეჩერებულია, მათი დაღუპვის საშიშროება აცილებულია.

მაყურებლის მხურვალე სიყვარულს იმსახურებენ ფილმის გმირები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. მათს ცხოვრებასა და შრომაში ყოველთვის იგრძნობა საერთო საქმისათვის ძალღონის დაუზოგავობა და მამაცობა, კომუნისტური შეგნებულობა, ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვის ვაჟკაცური თვისებები. მოხუცი მწვრთნელი ვორონოვი, ახალგაზრდა მხედარი ვასია გოვორუხინი, ვორონოვის შვილიშვილი კომკავშირელი ნადია და მრავალი სხვა მაყურებლის წინაშე წარმოსდგებიან თავიანთი კეთილშობილური თვისებებით: მხურვალე პატრიოტიზმით, პატიოსნებით, მამაცობით, რაც განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს დიდი სამამულო ომის წლებში. ამიტომ არის, რომ მაყურებელს იტაცებს ამ ადამიანების, როგორც სახალხო შურისმგებლების ბრძოლა ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

მრისხანე 1941 წელი... ფაშისტთა თვითმფრინავები ბომბავენ მეურნეობას. თავლა ცეცხლში ეხვევა. საჭიროა სახალხო დოვლათის გადარჩენა, თავლაში მყოფი პირუტყვის შველა. მგზნებარე პატრიოტები თავგანწირვით გადაეშვებიან ცეცხლში და ალმოდებულ თავლიდან გამოჰყავთ გარუჯული ცხენები.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრება ომის წლებში მთელი სინამდვილით არის გადმოცემული ფილმში. პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით ადგილობრივი მცხოვრებნი რჩებიან მტრის ზურგში, ქმნიან პარტიზანულ რაზმს, ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლს აჩაღებენ. რაიკომის მდივნის ნებართვით მტრის ზურგში რჩება მოხუცი ვორონოვიც თავის შვილიშვილ ნადიასთან ერთად. მაყურებელი მოხუც პატრიოტს ხედავს მეეტლედ ფაშისტი ოკუპანტების მიერ დაკავებული ქალაქის ქუჩებში. ვორონოვს თავისი ეტლით დაჰყავს მგზავრები, ისმენს ათასნაირ ამბებს მგზავრებისაგან. ხშირად ეტლით „მოგზაურობს“ ლამაზი მანდილოსანი, რომელშიც მაყურებელი იცნობს ამაყ პატრიოტ ქალიშვილს ნადიას. იგი თავის პაპასთან ერთად ასრულებს არალეგალური პარტიული კომიტეტის დავალებას, იატაკქვეშელ კომიტეტს აკავშირებს პარტიზანებთან. ფილმში შესანიშნავად არის წარმოსახული პარტიზანთა მეთაურის — პარტიის რაიკომის მდივნის კოჟინის ორგანიზატორული და დამრაზმავი როლი.

ვასია გოვორუხინი — ფილმის მთავარი გმირი, ვაჟკაცობისა და გმირობის განსახიერებაა. მტერთან ბრძოლაში, რაც გმირობასთან ერთად უდიდეს ფიზიკურ ძალას და ამტანობასაც მოითხოვს, მტკიცდება და იწრთობა მამაცი ჭაბუკის ხასიათიც. მაყურებლის წინაშე იგი წარმოსდგება როგორც საუკეთესო მხედარი, ზუსტი მსროლელი და მარჯვე მცურავი. იგი არ ერიდება არავითარ საფრთხესა და სიძნელეს, ვაჟკაცურად სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას.

ვასია გოვორუხინის ბრძოლების ამსახველი ეპიზოდები მღელვარებას და დაძაბულობას იწვევს მაყურებელში. აი ვასია კვალდაკვალ მისდევს ფაშისტ ჯაშუშს და ორთაბრძოლას უმართავს მას. მტრისადმი შურისგებით აღვსილი ჭაბუკი არავითარ საშიშროებას არ ერიდება. ფაშისტთა ცხვირწინ, წყლიდან გამოჰყავს მას თავისი საყვარელი „ბუიანი“ და არევდარევა შეაქვს ფაშისტთა რიგებში. ბოლოს, რაც ყველაზე დაძაბული მომენტია ფილმში, — ვასია გოვორუხინი „ბუიანით“ წამოეწევა სწრაფად მიმავალ გერმანელთა მატარებელს, ცხენიდან პირდაპირ შეახტება მას და ახსნის იმ ვაგონებს, რომლებშიც ტყვე საბჭოთა ქალიშვილებია მოთავსებული. მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოებს მამაც გმირს, რომელმაც დაღუპვისაგან იხსნა საბჭოთა ადამიანები. რამდენიმე წამიც და ჰიტლერელებით სავსე ვაგონები ჰაერში ავარდება. პარტიზანები აფეთქებენ მას.

კინოფილმი „მამაცი ადამიანები“ მაღალი იდეური შინაარსით აღსავსე ფილმია. მასში შესანიშნავადაა გადმოცემული საბჭოთა ადამიანების კეთილშობილება, პატრიოტიზმი, ცხოვრების სიმართლე.

შესანიშნავად ასრულებს ვასია გოვორუხინის როლს ახალგაზრდა მსახიობი ს. გურზო, რომელსაც მაყურებელი კარგად იცნობს კინოსურათით „ახალგაზრდა გვარდია“, რომელშიც იგი ბრწყინვალედ ასრულებს კრასნოდონელ სერგი ტიულენინის როლს. ვასია გოვორუხინი — გურზო თავისი მაღალი მორალური სახით, სამშობლოსათვის უსაზღვრო ერთგულებით და გამბედაობით იპყრობს მაყურებელს. ახალგაზრდა არტისტი საცხენოსნო სპორტის საუკეთესო ოსტატია. მაყურებელი ხედავს არა საცხენოსნო სპორტის უბრალო მოყვარულს, არამედ ნამდვილ მხედარს.

თავიანთ როლებს გულთბილად ასრულებენ და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან ა. გრიბოვი (ვორონოვი), თ. ჩერნოვა (ნადია), ნ. მორდვინოვი (რაიკომის მდივანი კოჟინი) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმის ფერადი გადაღების საუკეთესო ხარისხი, რისთვისაც ამას წინათ კარლოვი ვარში შემდგარ საერთაშორისო კინოფესტივალზე „მამაც ადამიანებს“ პრემია მიენიჭა.

რეჟისორმა კ. იუდინმა, ოპერატორმა ი. გელეინმა და მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა ფილმ „მამაცი ადამიანების“ სახით კარგი, ამაღელვებელი ფილმი მისცეს საბჭოთა მაყურებელს, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას.

ა. კოკილაშვილი

*) „მამაცი ადამიანები“. ახალი ფერადი მხატვრული ფილმი. „მოსფილმის“ კინოსტუდიის ნაწარმოები. დადგმა რეჟისორ კ. იუდინის, სცენარი მ. ვოლპინისა და ნ. ერდმანის. მთავარი ოპერატორი ი. გელეინი, მხატვრები მ. ბოგდანოვი და გ. მიასნიკოვი, მუსიკა ა. სპანდოვსკისა.

მხატვრული თვითმოქმედების 4 მილიონი მონაწილე

დაიწყო მზადება მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებისათვის. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს 100 ათასზე მეტი კოლექტივი.

თვითმოქმედმა საგუნდო, მუსიკალურმა და დრამატულმა ხელოვნებამ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბი მიიღო. ომისშემდგომ წლებში მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა რაოდენობა ერთიორად გადიდდა და 4 მილიონ კაცს გადააჭარბა.

ხალხური შემოქმედების სახლების დირექტორთა მოსკოვში დამთავრებულ სემინარზე გამოქვეყნებულ იქნა ბევრი საინტერესო ცნობა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში კოლექტივების საქმიანობის შესახებ. კულტურის სასახლეებში, მუშათა და კოლმეურნეთა კლუბებში 200 ათასზე მეტი წრე მუშაობს. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულია სასიმღერო შემოქმედება. სიმღერის დღესასწაულებმა მილიონობით მნახველი მოიზიდეს და ნიჭიერი შემსრულებლები გამოავლინეს.

ფართო პოპულარობა მოიპოვა ვორონეჟის ოლქის ლოსევის რაიონის გუნდმა. მან შექმნა ათობით ახალი სიმღერა, რომლებსაც ბევრი გუნდი ასრულებს.

მაყურებლები გულთბილად ხვდებიან დრამატული თვითმოქმედი კოლექტივების სპექტაკლებს. ბევრი კლუბის სცენაზე იდგმება ა. კორნეიჩუკის „ძახველის ჭალა“, ვ. ოვეჩკინის „ნასტია კოლოსოვა“. ამ სეზონის რეპერტუარშიც თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებს დიდი ადგილი ეთმობა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის შესახებ და ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება. (საქ-ტესი).

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ცვლა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხნის თუთიის საამქროს ის ცვლა, რომელსაც ინჟინერი შ. სალდაძე ხელმძღვანელობს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. ცვლა, მისი თვითეული მუშა, ბრიგადირი ზუსტად იცავენ ტექნოლოგიურ რეჟიმს, თავდადებით იბრძვიან წუნის წინააღმდეგ, მთლიანად პირველხარისხოვან მზა ნაწარმს უშვებენ.

ამ დღეებში აქ მიიღეს ცნობა, რომ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის თუთიის საამქროს აღნიშნულ ცვლას მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ცვლის“ საპატიო წოდება მიანიჭეს. ცვლა დაჯილდოებულია სიგელით და მისი თვითეული მუშა ფულადი პრემიით.

აგური გეგმის გადამეტებით

ხაშური. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ი. ინგოროყვა) აგვისტოში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 70 ათასი ცალი წითელი და 150 ათასი ცალი ნედლი აგური.

8 თვის განმავლობაში ქარხანაში 25 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, 15 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და დაზოგეს 200 ტონა სათბობი.

ქარხნის წარჩინებული სტახანოველები ი. ტალახაძე, ს. მალიძე და გ. დეკანოიძე დღიურ დავალებას 300 პროცენტით ასრულებენ, ხოლო პ. მოსკალევა და პ. მატალოვა—150 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას დიდძალი პროდუქცია.

საკოლმეურნეო ელექტროსადგური

ლენინგორი. (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფელია დადიანეთი. დიდი ხანი არ არის, რაც აქ საკოლმეურნეო ელექტროსადგური ამუშავდა და ილიჩის ნათურებმა გაანათეს ამ სოფლის მკვიდრთა ბინები. დადიანეთლებმა გადაწყვიტეს უკეთესად გამოიყენონ ელექტროსადგური. პურეულის მოსავლის აღების დღეებში მათ შეიძინეს სალეწი მანქანა, რომელიც ელექტროენერგიით მუშაობს. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა კოლმეურნეთა შრომა და დააჩქარა მოსავლის ლეწვის ტემპი.

უახლოეს დღეებში დადიანეთში მოეწყობა სახერხი ქარხანა, რომელიც ელექტროენერგიით იმუშავებს. ქარხნის ამუშავების შემდეგ დადიანეთელები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ ახალმშენებლობებს.

კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ ელექტროენერგია გამოიყენონ მეცხოველეობის ფერმებში მუშაობის უკეთ მოსაწყობად.

ჩვენ გვწერენ

ჩვენს სამართლიან მოთხოვნას ანგარიში უნდა გაეწიოს

ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმ-კობულეთის უბანზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახლად აგებული კეთილმოწყობილი ბაქნები.

ერთ-ერთი ასეთი ბაქანი აშენდა ქალაქ ბათუმის გარეუბანში — ბარცხანაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბაქანზე დაწესებული არ არის თბილის-ბათუმისა და სოჭი-ბათუმის მატარებელთა გაჩერება. ამის გამო ბარცხანის, გოროდოკის, ნაწილობრივ სტალინის სახელობის ქარხნის მუშათა უბნის, სტალინის სახელობის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის, სალიბაურის ჩაის ფაბრიკისა და მახლობელი კოლმეურნეობების მოსახლეობა, ამ მატარებლებში რომ მოხვდეს, ან მახინჯაურში უნდა ჩავიდეს, ან ქალაქის სამგზავრო სადგურში, საიდანაც ამ უბნებამდე საშუალოდ ოთხი-ექვსი კილომეტრია.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო სერიოზულ დახმარებას გაუწევს ამ უბნების ასობით მუშას, ინტელიგენტს, კოლმეურნეს, მოსამსახურეს, თუ ბარცხანის ბაქანზე შემოიღებს თბილის-ბათუმისა და სოჭი-ბათუმის მატარებლების გაჩერებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ ბოლო დროს ეს მატარებლები აღარც ბათუმის საბარგო სადგურში ჩერდებიან.

ა. ჯაიანი, ე. ღლონტი, დ. პაიჭაძე

თბილისის ახალი მშენებლობა

მშვენიერი საჩუქარი

ვერავინ იტყვის ახლა, როგორც წინათ ამბობდნენ, თბილისის გარშემო გზები არ ვარგა, ტალახიანი და ძნელად გასავლელიაო.

მზის სხივებზე შავად ლაპლაპებენ გუდრონირებული გზატკეცილები მარნეულის, რუსთავის, კოჯრის, სამგორის, მცხეთის მიმართულებით. გზატკეცილთა ამ ქსელს წელს შემოემატა ახალი მშვენიერი ასფალტიანი გზატკეცილი თბილისი-წყნეთი...

ავტომობილი მარის ქუჩას გასცდება და აღმამიმავალ, შესანიშნავ გზას შეუდგება. გვერდით გზას ერთხანს შორიახლო გასდევს ვერის ღელე, წანწკარა და ავგული, რომელსაც თირის კლდეებისათვის გული ამოუღრღნია, სიღრმეში ჩამალულა, ვეებერთელა ხევით ღელისი და საბურთალო ვაკისაგან გაუთვისებია. დასავლეთისაკენ, გაღმა ჩანს ისტორიული ბეთანიის მიდამოები და მთის კალთების ტალღისებრი რელიეფი.

შემდეგ გზა გადაჭრით უხვევს მარცხნივ, უსურვაზივით ნება-ნება გასდევს მომდევნო სერებს, გაქნეული გრძელი შოლტივით იზნიქება და იკლაკნება აღმართში, მაგრამ მაინც მაღლა მიიწევს. ქვემოთ კი ჩანს მცხეთიდან და ცივგომბორიდან რუსთავამდე გადაშლილი და თბილისის დიდი ხელით დამშვენებული უსაზღვრო ლანდშაფტი, ხოლო ირგვლივ, გზის ორივე მხარეს თვალის გასახარელად აშოლტილან ელდარის ფიჭვები, წყნარად რომ ირხევიან მაცოცხლებელი ნიავით გახალისებულნი.

ცხრა კილომეტრი მანძილით აერთებს ეს გზა დედაქალაქს მახლობელ მზიურ კურორტთან, მაგრამ ამ მანძილზეც თვალი ვერ ძღება ათასჯერ ნანახი, მაინც მუდამ ახალ განცდათა აღმძვრელი ბუნების თავისებური სურათების ცქერით.

ნაირნაირი, ფერადფერადი მსუბუქი ავტომანქანები კი წამდაუწუმ დაჰქრიან გზაზე.

მშვენიერი საჩუქარი — თბილის-წყნეთის მოასფალტებული გზატკეცილი მიიღო თბილისმა 1950 წლის სხვა მიღწევათა შორის.

სურათზე: თბილის-წყნეთის ახალი გზატკეცილის ერთ-ერთი უბანი.

კარლ მარქსის ხიდის რეკონსტრუქცია

კარლ მარქსის ხიდი, რომელიც ქალაქის ერთერთ ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარეობს, ვეღარ აკმაყოფილებს საქალაქო ტრანსპორტის მოთხოვნილებას. მას შემდეგ, რაც დამთავრდება მარცხენა სანაპიროს მშენებლობა ერთი მხრივ ელბაქიძის ხიდის მიმართულებით და მეორე მხრივ ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით, მოძრაობა ამ ხიდზე უფრო გაიზრდება და იგი ვეღარ შეძლებს შეუფერხებლად გაატაროს ავტომობილთა დიდი ნაკადი, აგრეთვე ქვეითად მოსიარულენი.

ამიტომ თბილისის საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა შეუდგეს ამ ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა შესრულებას. გადაწყვეტილია ხიდის საყრდენების განმტკიცება და ჰიდროიზოლაცია, რათა საყრდენებში წყლის ჟონვა აღიკვეთოს. სრულიად გადაკეთდება ხიდის სასვლელი ნაწილი და გაფართოვდება ტროტუარები.

რეკონსტრუირებულ ხიდს ლამაზად გაფორმებული მოაჯირები გაუკეთდება.

ახალი არქიტექტურული ანსამბლები საბურთალოზე

საბურთალო, რომელიც წინათ ქალაქის ცენტრიდან ყველაზე მეტად მოწყვეტილი და მიყრუებული უბანი იყო, ახლა თბილისის ერთ-ერთ საუკეთესოდ კეთილმოწყობილ უბნად ხდება.

დაწყებულია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალსართულიან კორპუსთა მშენებლობა. მიმდინარე წლის ბოლოსთვის მშენებლებმა უნდა დაამთავრონ 1.200 კვადრატული მეტრის შემცველი ერთ-ერთი კორპუსის აგება.

მალე მთელ უბანს დაამშვენებს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ლენინის სახელობის ინსტიტუტის სრული ანსამბლი. ამ ანსამბლიდან მთავარი კორპუსი უკვე კარგა ხანია მოთავდა. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დანარჩენ კორპუსთა მშენებლობა და შიგნითა მოწყობა.

საბურთალოზე დაწყებულია აგრეთვე დიდი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება მეცნიერ მუშაკთათვის. ფართო მასშტაბითაა გაჩაღებული საუწყებო სახლების მშენებლობაც.

ტრამვაი ავჭალაში

ქვემო ავჭალა უკვე იქცა ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო უბნად. აქ არის შამპანური ღვინოების ქარხანა, ფოლად-თუჯის სამსხმელო საწარმო, შუშის ქარხანა, ჩაის საწონი ფაბრიკა, ლოკომოტივსარემონტო დიდი ქარხანა და მრავალი სხვა საწარმო. აქვე მიმდინარეობს დიდი მშენებლობა, გაშენებულია მუშათა საცხოვრებელი უბნები.

ამ ახალი სამრეწველო უბნის ქალაქის სხვა უბნებთან დაკავშირების გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილია ღრმაღელიდან ქვემო ავჭალამდე ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა. უკვე დაწყებულია ღრმაღელეში ტრამვაის ხაზის მკვებავი ელექტროქვესადგურის მშენებლობა და გადაწყვეტილია ახლო ხანში შეუდგნენ ღრმაღელე-ავჭალის მიმართულებით სალიანდაგო ზოლის გამზადებას.

მომავალ წელს ეს სამუშაოები დამთავრდება და ამ უბნისაკენ ტრამვაის მოძრაობა დაიწყება.

მზრუნველობით მოვეკიდოთ საბინაო მეურნეობას

საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის ყველა შესაძლებლობაა. ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები აღჭურვილია თანამედროვე სამშენებლო მექანიზმებით. ისინი უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური სპეციალისტებით და საჭირო საშენი მასალით.

ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი. საქართველოს დედაქალაქ თბილისის საბინაო ფონდს სისტემატურად ემატება ახალი კეთილმოწყობილი სახლები. ეს გარემოება როდი ამცირებს საბინაო მეურნეობის მუშაკთა ვალდებულებას, რომ უფრო მზრუნველობით მოეპყრონ და გაუფრთხილდნენ არსებულ საბინაო ფონდს.

ქალაქის საბინაო მეურნეობის მუშაკთა შორის ცოტა როდია უნარიანი და ინიციატივიანი მუშაკი, რომლებიც მზრუნველობით ეკიდებიან საცხოვრებელ სახლებს. ამ მხრივ აღსანიშნავია № 348 სახლმმართველობის სახლის მმართველი ამხ. ე. ცომაია. მან საცხოვრებელი ბინების აღდგენისა და ექსპლოატაციის ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარესთან ამხ. ნ. აუშტროვთან ერთად სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანა გრიბოედოვის ქუჩის № 20 სახლი. ამ სახლის მობინადრეთა აქტიური მონაწილეობით მოზრდილ ბავშვთათვის მოეწყო ფიზკულტურის მოედანი. სახლის ცენტრალური გათბობა ყოველწლიურად შეუფერხებლად მუშაობს. სახლს თავის დროზე და საჭიროებისამებრ უკეთებენ რემონტს, იცავენ სისუფთავეს.

სახლმმართველ ნ. მაღრაძისა (სახლმმართველობა № 398) და ბინების აღდგენისა და ექსპლოატაციის ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარე ნ. შერენტის კარგი მუშაობის შედეგად როგორც სისუფთავის მხრივ, ისე ტექნიკურად კარგი მდგომარეობაა მაჩაბლის ქუჩის № 4, 5, 6, 7, 10/4 სახლებში.

ასევე კარგად მუშაობენ სახლმმართველები ი. კონიშვილი (სახლმმართველობა № 181), ვ. ქიჯაია (სახლმმართველობა № 264) და სხვ.

საცხოვრებელი ბინების აღდგენისა და ექსპლოატაციის ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ნიორაძემ (სახლმმართველობა № 292) მობინადრეთა აქტიური მონაწილეობით მოაწყო ახალი კიბე აზირას ქუჩის № 14 სახლში. ახალი ჭიშკარი გაუკეთდა ნახშირის ქუჩის ჩიხის № 8 სახლს, შეკეთდა ამავე ჩიხის № 14 სახლი, მოეწყო ელექტროგანათება ხოდაშნის ქუჩის № 7 სახლში და სხვა. ასევე შეიძლება ითქვას ხელშემწყობი კომისიების თავმჯდომარეების — თ. ნიჟარაძის (სახლმმართველობა № 280), ლ. ბუხაიძის (სახლმმართველობა № 303) შესახებ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საბინაო მეურნეობის ზოგიერთი მუშაკის არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების რემონტი დროულად არ სრულდება. ლერმონტოვის ქუჩის № 11 სახლში (სახლმმართველი ა. ანდრიაძე) წყალსადენის ქსელი მოუწესრიგებელია, სახურავების შეკეთებასა და კანალიზაციის ქსელს ყურადღება არ ექცევა. ასევე ცუდ მდგომარეობაშია აღნიშნული ქუჩის № 9/14, 11/11, 11 და 15 სახლები.

ცუდად მუშაობენ 26 კომისრის რაიონის სახლმმართველები ქ. ზამთარაძე (სახლმმართველობა № 246) და ა. ამირანაშვილი (სახლმმართველობა № 234).

ამას წინათ მეტად საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინა მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა, სახლმმართველმა ამხ. ზ. ლოზნევამ. მან წინადადება წამოაყენა საცხოვრებელი სახლების დაცვა გადაეცეს სახლმმართველობის კოლექტივს. თავისი მუშაობის გამოცდილებით ამხ. ლოზნევამ დაგვანახვა, რომ სახლმმართველობისა და მობინადრეთა კოლექტიური მუშაობა დიდ ნაყოფს იძლევა. მის წინადადებას მხურვალედ გამოეხმაურნენ. თვითეულმა მობინადრემ ვალდებულება აიღო— სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანოს საცხოვრებელი ბინები. მხურავები, მონტიორები, კანალიზატორები და სხვა პროფესიის ყველა მობინადრე ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში სახლების საექსპლოატაციო პერიოდის გახანგრძლივებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ამხ. ლოზნევა სახლის კაპიტალური შეკეთების პროცესში დაკავშირებულია შემკეთებელ კანტორასთან, თვალყურს ადევნებს ყველა სახის სამუშაოს, მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. შესრულებულ სამუშაოს იგი იბარებს საგარანტიო პასპორტით, საზოგადოებრივი კომისიების საშუალებით მობინადრეებს აცნობს ბინის შეკეთებისათვის გათვალისწინებული სახსრების ოდენობას და სხვა. ამხ. ლოზნევა აღწევს აგრეთვე მასალებისა და სახსრების თვალსაჩინო ეკონომიას.

მოსკოველ სახლმმართველ ამხ. ლოზნევას წამოწყებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ რიგ ქალაქებში — ლენინგრადში, მინსკში, ლვოვში და სხვ. ამ წამოწყებას თბილისის სტალინისა და კიროვის რაიონების საბინაო მეურნეობის მუშაკებიც გამოეხმაურნენ. საჭიროა ქალაქისა და რაიონების საბინაო მეურნეობის სამმართველოთა ყველა მუშაკი პრაქტიკულად შეუდგეს ამ მიმართულებით მუშაობას. ამხ. ლოზნევას გამოცდილება ფართოდ უნდა დავნერგოთ საბინაო მეურნეობის მუშაკთა საქმიანობაში.

გ. აფხაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო მეურნეობისა და მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე

ი. ა. მალიკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლისადმი

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში ი. ა. მალიკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„პატივცემულო ბ-ნო გენერალურო მდივანო, ამასთან ერთად გიგზავნით ჩინეთის ბევრი ადგილიდან მრავალრიცხოვანი პროფკავშირული, ქალთა, სტუდენტობისა და სხვა ორგანიზაციებისაგან მიღებულ 38 დეპეშას, რომლებშიც გამოთქმულია აღშფოთება და განცხადებულია პროტესტი ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩინეთის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვისა და ტაივანზე და კორეაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

მაგალითად, შანსის პროვინციის პროფესიულ კავშირთა საბჭო, ახალგაზრდობის ახალი დემოკრატიული ლიგა, მასწავლებელთა ასოციაცია, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა კავშირი, ქალთა დემოკრატიული ფედერაცია, სტუდენტთა კავშირი, მეცნიერების მუშაკთა ასოციაცია, ექიმთა და ვეტერინართა ასოციაცია, დრამა- [illegible]

დასხმებისა და 35 ჩინელი მოქალაქის მოკვლისა და დაჭრის წინააღმდეგ და მოითხოვენ ზომების დაუყოვნებლივ მიღებას".

გუანდუნის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილის მშვიდობის კომიტეტი, პროფესიულ კავშირთა საბჭო, გლეხთა ასოციაცია, ახალგაზრდობის ახალი დემოკრატიული ლიგა, ქალთა დემოკრატიული კავშირი, სტუდენტთა კავშირი, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის მუშაკთა ასოციაცია, მუშათა ასოციაცია 4 სექტემბრის დეპეშაში წერენ, რომ „გუანდუნის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილის სამი მილიონი მცხოვრები აღშფოთებულია ამერიკელების მიერ ჩინეთის დაბომბვით. გთხოვთ დასაჯოთ დამნაშავენი".

შანხაის ახალგაზრდობის ახალი დემოკრატიული ლიგა, სტუდენტთა კავშირი და ქალთა დემოკრატიული ფედერაცია 4 სექტემბრის დეპეშაში წერენ, რომ „აღმოსავლეთ ჩინეთის ახალგაზრდობა, სტუდენტები, ქალები მხარს უჭერენ ჯოუ ენ-ლაის პროტესტს ამერიკის მიერ ჩინეთის დაბომბვის წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ უშიშროების საბჭომ შეწყვიტოს ამერი- [illegible]

[illegible]

ამერიკელთა უკანონობას და მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაუყოვნებლივ მოქმედებას ჩინეთსა და კორეაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ".

კუნმინის პროფესიულ კავშირთა საბჭო, იუნანის პროვინციის გლეხთა ასოციაცია, კუნმინის სახალხო საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტი, კუნმინის სტუდენტთა კავშირი, ქალთა დემოკრატიული ფედერაცია, იუნანის პროვინციის ახალგაზრდობის ახალი დემოკრატიული ლიგა, კუნმინის მშვიდობის კომიტეტი, კუნმინის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება, იუნანის პროვინციის ომისა და შრომის გმირები 4 სექტემბრის დეპეშაში გამოთქვამენ „გადამწყვეტ პროტესტს ამერიკელთა საჰაერო თავ- [illegible]

ჩინეთის სხვადასხვა პროვინციის ბევრი ორგანიზაცია ამასთან დართულ დეპეშებში თავის აღშფოთებას გამოთქვამს და გადამწყვეტ პროტესტს აცხადებს ამერიკელების მიერ ჩინეთის ტერიტორიის დაბომბვის წინააღმდეგ და მოითხოვს უშიშროების საბჭოსაგან მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა დაისაჯონ დამნაშავენი და აღიკვეთოს ამერიკელთა პროვოკაცია, რომელიც მიმართულია აგრესიის გაფართოებისაკენ.

გთხოვთ გასცეთ მითითება, რომ ამასთან დართული 38 დეპეშა შეტანილ იქნას უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული წერილებისა და დეპეშების სიაში.

ეს წერილი გთხოვთ გამოსცეთ უშიშროების საბჭოს დოკუმენტის სახით".

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გუ- [illegible]

შტატების იმ ღონისძიებებს, რომ საერთაშორი- [illegible]

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონგრესის საპროტესტო დეპეშა უშიშროების საბჭოსადმი

ბუქარესტი, 14 სექტემბერი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონგრესმა უშიშროების საბჭოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მილიონობით მშრომელთა — მშვიდობის მომხრეთა სახელით გადამწყვეტ პროტესტს აცხადებს კორეაში ამერიკელ იმპერიალისტთა ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ, აგრეთვე კორეის ქალაქებისა და სოფლების მშვიდობიან მოსახლეობაზე ამერიკის ავიაციის დანაშაულებრივი თავდასხმების წინააღმდეგ. დეპეშაში ნათქვამია, რომ კონგრესი მოითხოვს ამ შემაძრწუნებელი აგრესიის შეწ- [illegible]

მშვიდობის მომხრე 10 მილიონზე მეტი რუმინელის სახელით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონგრესი მთელი მსოფლიოს წინაშე აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს უფრო და უფრო მზარდი ძალებით იბრძოლოს იმ მოთხოვნათა განხორციელებისათვის, რომლებიც მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საქმეს ემსახურებიან".

დასავლეთ ბერლინის პოლიციის შეიარაღება

ბერლინი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ადნის სააგენტო გადმოგვცემს, რომ უკანასკნელ დღეებში ამერიკელთა ტემპელჰოფის აეროდრომზე (ბერლინი) ჩამოიტანეს ბევრი სამხედრო მასალა, რაც განკუთვნილია დასავლეთ ბერლინის პოლიციისათვის. თვითმფრინავების გადმოტვირთვაში იყენებდნენ პოლიციელებს, ვინაიდან ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთ აეროდრომის მოსამსახურენი საკმაოდ საიმედო პირებად არ მიაჩნიათ.

შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების სამხედრო მასალის გარდა, ჩამოიტანეს აგრეთვე რევოლვერებისა და ავტომატების სამხედრო მასალა. ორი სატვირთო მანქანა დატვირთული იყო ქიმიური სამხედრო მასალით, ორი სხვა სატვირთო მანქანა მხოლოდ დაღამების შემდეგ იტვირთებოდა. ამ მანქანებში ტვირთავდნენ ყუთებს, რომლებსაც, ამერიკის სამხედრო პოლიციის განკარგულებით, მეტად ფრთხილად ეპყრობოდნენ.

სახელმწიფო მოსამსახურეთა დათხოვნა თურქეთში

პრაღა, 13 სექტემბერი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს სოფიელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ სტამბოლის პრესის ცნობებით, თურქეთში სახელმწიფო მოსამსახურეთა შტატი მნიშვნელოვნად შემცირდება „მომჭირნეობის ღონისძიებებთან" დაკავშირებით, რომლებსაც ამერიკელთა ბრძანებით ახორციელებენ. მარტო ფინანსთა სამინისტროში მოსამსახურეთა რიცხვი უკვე თითქმის მესამედით შემცირდა.

საბჭოთა მოკრივეების წარმატება ფინეთში

ჰელსინკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა მოკრივეები შეხვდნენ ფინელ მოკრივეებს ქალაქ კოტკაში. სტადიონზე, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, 1.500 მაყურებელი იყო. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 8:0 საბჭოთა მოკრივეების სასარგებლოდ.

ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებიც გამოვიდნენ ჰელსინკში, ტურკუში, პორიში, კუოპიოსა და კოტკაში, დღემდე არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 13 სექტემბერს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე ძლიერ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობენ სასტიკ ბრძოლებს.

მდინარე ნაკტონგანის (რაკუტო-კო) აღმოსავლეთ ნაპირზე ამერიკის ჯარებმა, რომლებმაც სახალხო არმიის ნაწილების დარტყმებით მძიმე ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს, ძლიერი თავდაცვითი პოზიციები შექმნეს და ავიაციის დახმარებით წინააღმდეგობას უწევენ სახალხო არმიის შემტევ ნაწილებს.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებმაც ეგვანი (იკანი), გუნიი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები [illegible]

ევნ ქვეით ჯარებს, ძლიერ დაარტყეს მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობდა კონტრშეტევაზე გადმოსულიყო. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წამოყვანილთა სახით. წამოღებულია შემდეგი დავლა: 3 მსუბუქი და მძიმე ტანკი, 5 რაკეტული ქვემეხი, 20-ზე მეტი მძიმე ტყვიამფრქვევი და სხვა საჭურველი და სამხედრო მასალა. მოსპობილია მოწინააღმდეგის ბევრი ტანკი, მძიმე სასროლი იარაღი და სხვა საბრძოლო ტექნიკა.

სახალხო არმიის სხვა ნაწილები, რომლებიც ამავე მიმართულებით მოქმედებენ, სატანკო ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით, მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს აყენებენ. ამ ბრძოლებში სახალხო არმიის ჯარებმა მოსპეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია შემდეგი დავლა: 10 ნაღმსატყორცნი, 5 რაკეტული ქვემეხი, 5 მძი- [illegible]

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებმაც ეგვანი (იკანი) გაათავისუფლეს, გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ. ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებმა მიიღეს მაშველი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ეყრდნობიან ბუნებრივ და ხელოვნურ თავდაცვით ზოლებს და სასტიკ წინააღმდეგობას ეწევიან ტეგუს (ტაიკიუ) დაცვის მიზნით.

ამ რაიონში სახალხო არმიის შემტევმა სატანკო ნაწილებმა, რომლებიც დახმარებას უწე- [illegible]

სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში მოქმედმა ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ამერიკელთა ჯარების პოზიციებზე და წინ წაიწიეს სინდონისაკენ (სიოდო), რომელიც მხოლოდ 7 მილზე მდებარეობს ტეგუდან (ტაიკიუ). ამ იერიშის შედეგად ჩრდილოეთკორეელებმა ორი მაღლობი დაიკავეს.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრძოლები წარმოებს იონჩხონის (ეისენი) აღმოსავლეთით მდებარე რაიონში.

სიკვდილის ამერიკული ბანაკი სამხრეთ კორეაში

პარიზი, 12 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „მონდმა" გამოაქვეყნა სამხრეთ კორეაში მყოფი თავისი სამხედრო კორესპონდენტის შარლ ფარველის სტატია. ფარველი აგვიწერს იმ 300 ათასი კორეელის უმაგალითო ტანჯვას, რომლებიც ამერიკელებმა შერეკეს ჩრდილოეთ განედის 36 გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის 128,9 გრადუსზე მდებარე ბანაკში. „აზიის რუკის ამ წერტილში,—წერს შარლ ფარველი,—იმყოფება 300 ათასი კორეელი, რომელთა სიცოცხლე საშინელ განსაცდელშია ...სიტყვა ვერ მომინახავს აქ მყოფ ადამიანთა ტანჯვის გამოსახატველად. იყო ბუხენვალდი, იყო დახაუ. მაგრამ იმას, რაც აქ ვნახე, ვერც ბუხენვალდი და ვერც დახაუ ოდნავაც ვერ შეედრება. ეს ნამდვილი ამქვეყნიური ჯოჯოხეთია.

მითხრეს: „წადით და ნახეთ. ეს რაღაც შემაძრწუნებელიაო". წავედი. მე ვნახე ადამიანები ამ სიკვდილის სამკუთხედში, რომლის გამოსასვლელებსაც გუშაგები იცავენ. ვნახე ადამიანები, რომლებიც არავითარ საზრდოს არ იღებენ და არც ტანსაცმელი აქვთ. ისინი შიმშილით იხოცებიან..."

„კვირაში მხოლოდ ერთხელ, ორშაბათობით, — წერს შემდეგ კორესპონდენტი, — ლტოლვილებს ცოტა მარცვლეულს აძლევენ. არავითარი ექიმი ამ ბანაკში არ არის. შიშველი, შიმშილით ქანცგამოლეული ადამიანები მიწაზე წვანან და თავის წამოწევაც კი არ შეუძლიათ..."

„ეს ბანაკი,—წერს კორესპონდენტი,—ჩიხია, საიდანაც გამოსავალი არ არის. აქ მოხვედრილმა ადამიანებმა ხელი უნდა აიღონ სიცოცხლის ყოველგვარ იმედზე".

იაპონელ მუშებს ძალად გზავნიან კორეაში

შანხაი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ტოკიოს პრესის ცნობებით, იაპონიის სანავსადგურო ქალაქებში იოკოჰამაში, ოტარუში, ხაკოდატეში, ნაგოიაში, კურეში, სასებოში, მოძიში, მაიძურუში, ნიიგატასა და ტოიამაში ძალად აგროვებენ ნავსადგურის მუშებსა და მტვირთავებს კორეაში გასაგზავნად. კერძოდ, იუწყებიან, რომ 40 მეთევზე ქალაქ ტოკონამადან (ტოიამას პრეფექტურა), რომლებმაც სურვილი განაცხადეს ნავსადგურის მუშები გამხდარიყვნენ, 4 სექტემბერს იოკოჰამას ჩაიყვანეს. საპრეფექტურო სამმართველოს შრომის განყოფილებაში მათ აცნობეს, რომ დაქირავებულ იქნებიან სამხედრო ხელისუფალთა მიერ და კორეაში გაიგზავნებიან. მეთევზეებმა მოითხოვეს უკან დაბრუნება. მაგრამ, ნაცვლად ამისა, ისინი მოათავსეს იოკოჰამის ნავსადგურის ბანაკში და სასტიკი მეთვალყურეობა დაუწესეს.

ექვსმა მეთევზემ მოახერხა ბანაკიდან გაქცევა. მათ ეს ამბავი აცნობეს კანაგავის პრეფექტურის პროფკავშირის საბჭოს, რომელმაც გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება კორეაში გასაგზავნად მუშების ძალით შეგროვების წინააღმდეგ.

ხუნანის პროვინციის მოსახლეობა აღადგენს სახლს, სადაც დაიბადა მაო ძე-დუნი

პეკინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ხუნანის ადგილობრივი მოსახლეობა ჩინელი ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად აღადგენს სახლს, სადაც ცხოვრობდა და თავისი ბავშვობის წლები გაატარა მაო ძე-დუნმა.

სახლი ხუნანის პროვინციის სიანტანის მაზრის ლამაზ სოფელ შაოშანშია. გომინდანის ძალაუფლების წლებში სახლი დაძველდა. მას შემდეგ, რაც შარშან აგვისტოში სოფელი გაათავისუფლა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ, სახლი ინახულა ბევრმა ჩინელმა და უცხოელმა სტუმარმა. განზრახულია აშენდეს ახალი სახლი, რომელიც ზუსტად აღადგენს ძველის სახეს.

მარშალის დანიშვნა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრად

ვაშინგტონი, 12 სექტემბერი. (საკდესი). თეთრი სახლის წარმომადგენელმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ ტრუმენმა მიიღო თავდაცვის მინისტრის ჯონსონის გადადგომა, რაც ძალაში შევა 19 სექტემბრიდან. წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ გენერალი მარშალი დათანხმდა დაიკავოს თავდაცვის მინისტრის პოსტი.

პრეზიდენტის მდივანმა როსმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ მარშალის დანიშვნა მოითხოვს კონგრესის სპეციალურ გადაწყვეტილებას, რამდენადაც ეროვნული უშიშროების კანონში გათვალისწინებულია, რომ თავდაცვის მინისტრი შეიძლება იყოს მხოლოდ სამოქალაქო პირი.



თბილისის მშენებლობებზე. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტრომ მარის ქუჩაზე ააგო ახალი საცხოვრებელი სახლი. ამ სახლის შიგნითა მოწყობა უკვე მთავრდება.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ცხენთა სარაიონთაშორისო გამოფენა

დუშეთი. (საკ. კორ.). აქ მოეწყო ცხენთა სარაიონთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ დუშეთის, მცხეთისა და ყაზბეგის რაიონების მეცხენეობის საკოლმეურნეო ფერმები.

საგამოფენო კომიტეტმა ცხენების სულადობის ზრდისა და ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში საუკეთესო წარმატებისათვის ფულით და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დიპლომით დააჯილდოვა დუშეთის რაიონის მაქართის სტალინის, დიდველის 25 თებერვლის და ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა მეცხენეობის ფერმები. ასეთივე ჯილდო მიიღეს ყაზბეგის რაიონის სნოს მოლოტოვის, ყაზბეგის მახარაძისა და წილკნის (მცხეთის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმებმა.

გაიმართა დოღი, რომელშიც პირველობა მოიპოვეს მჭადიჯვრის სტალინის (დუშეთის რაიონი), სნოს მოლოტოვის, სიონის მახარაძის (ყაზბეგის რაიონი) კოლმეურნეობათა ცხენებმა.

დოღში გამარჯვებულ მხედრებს მიეცათ ჯილდოები.

თბილისის კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კაბინეტი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დიდი ყურადღება ექცევა ხალხური მუსიკის შესწავლას. წელს ხალხური შემოქმედების კაბინეტმა მოაწყო საინტერესო ექსპედიცია მუსიკალური ფოლკლორის შესასწავლად სვანეთსა და სამეგრელოში ასპირანტ ვ. ახობაძის ხელმძღვანელობით.

სვანეთში შეგროვილ იქნა 30-მდე ძველი ხალხური საგმირო ხასიათის და თანამედროვე ყოფის ამსახველი სიმღერა. სამეგრელოშიც დიდი რაოდენობით იქნა ჩაწერილი თანამედროვე და ძველი ფოლკლორის ნიმუშები. ძველი სიმღერებიდან ჩაიწერა „მეგრული ზარი", „ბექურიო ბატა", „ალილო", „ვოირა" და სხვ.

ამჟამად თბილისის კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კაბინეტი ამუშავებს ექსპედიციის მონაწილეთა მიერ ჩამოტანილ მასალებს.

ახალი წიგნები

ქ. სიმონოვი. **დღეები და ღამეები.** თარგმანი მ. ახალაძისა და ვ. ქოჩორაძისა. საბლიტგამი, 1950 წ., ტირაჟი 8.000, 299 გვ., ფასი 16 მან.

შოთა მესხია. **სიმონ ჯანაშია.** საბლიტგამი, 1950 წ., ტირაჟი 5.000, 106 გვ., ფასი 8 მან.

კაპიტონ რუხაძე. **ლიანას ამხანაგი.** აჭარის ასსრ სახელგამი, 1950 წ., ტირაჟი 8.000, 51 გვ., ფასი 2 მან.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

[illegible]

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, [illegible] წიფო გამოცდების საშემოდგომო სესია ყველა ფაკულ- [illegible] ზე დანიშნულია ამა წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომ- [illegible]

[illegible] წიფო გამოცდების ჩაბარება სურთ, წერილობითი გან- [illegible] სიტეტის რექტორის სახელზე ა. წ. 25 სექტემბრამდე. [illegible]

თბილისის ვაჟთა მე-13 სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ დ. ლექვინაძეს მისი მეუღლის იულია ყაფლანის ასულ ლექვინაძის გარდაცვალების გამო.

დედა ანეტა, მამა მიხეილ, და მერი თარხნიშვილები, ძმისწული თამარ იუწყებიან, რომ 17-IX, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე პანთეონში [illegible]

[illegible]

[illegible]